მნიშვნელოვანი შეტყობინება

ამ ვებ-გვერდზე წვდომა მთელ მსოფლიოშია შესაძლებელი, თუმცა ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ეხება მხოლოდ სს „გალტ ენდ თაგარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) („**გალტ ენდ თაგარტი**“) და არა კონკრეტულად „გალტ ენდ თაგარტის“ ჯგუფის რომელიმე სხვა კომპანიას. ყველა კლიენტი უშუალოდ შედის ურთიერთობაში „გალტ ენდ თაგარტთან“ და კლიენტთა ყველა ხელშეკრულება ფორმდება „გალტ ენდ თაგარტთან“, შესაბამისად, მათზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

ნებისმიერი ფაქტი, შეფასება, ანალიზი, პროგნოზი, დასკვნა და სხვა ინფორმაცია (ერთობლივად - „**ინფორმაცია**“), რომელიც გამოცემულია „გალტ ენდ თაგარტის“, „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი მფლობელის, შვილობილი კომპანიის, აფილირებული კომპანიის ან ფილიალის მიერ ან/და „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი დირექტორის, თანამდებობის პირის, თანამშრომლის ან წარმომადგენლის მიერ, მიუხედევად იმისა, სად არის ის განთავსებული - „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდზე, მესამე მხარის ვებ-გვერდზე, მარკეტინგულ მასალებში, საინფორმაციო ბიულეტენებში, ინდივიდუალურ ელექტრონულ მეილებსა და წერილებში, ლექციებში, პირად საუბრებსა თუ სხვა წერილობით ან ზეპირი კომუნიკაციის ფორმებში (ერთობლივად - „**პუბლიკაციები**“), გაცემულია მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგის მიზნებისათვის.

თუ საგანგებოდ სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული, „გალტ ენდ თაგარტის“ არც ერთი „პუბლიკაცია“ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც შეთავაზება (ან მოწვევა შეთავაზებაზე) შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნებისმიერი ვალუტის, პროდუქტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვა ან გაყიდვა;
- ნებისმიერი ინვესტიციის განხორციელება; ან
- ნებისმიერ კონკრეტულ სავაჭრო სტრატეგიაში მონაწილეობა (ერთობლივად - „**შეთავაზებები**“).

ნებისმიერი საწინააღმდეგო ჩანაწერის მიუხედავად (თუნდაც საგანგებოდ იყოს გათვალისწინებული), „გალტ ენდ თაგარტის“ არც ერთი „პუბლიკაცია“ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც „შეთავაზება“ რომელიმე იმ იურისდიქციაში, რომელშიც ასეთი „შეთავაზება“ კანონსაწინააღმდეგოა. ნებისმიერი ამგვარად აღქმული შეთავაზება არ დადასტურდება „გალტ ენდ თაგარტის“ მხრიდან.

განცხადებებისა და გარანტიების უარყოფა

„გალტ ენდ თაგარტი“ იღებს სათანადო ზომებს, რათა ინფორმაცია სანდო წყაროებიდან მოიპოვოს, თუმცა ყველა „პუბლიკაცია“ მოცემულია „არსებული სახით“ (“as is” პრინციპით), ყოველგვარი (გამოხატული ან ნაგულისხმევი) განცხადების ან/და გარანტიის გარეშე, და „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერი „პუბლიკაციის“ სრულყოფილებაზე, სიზუსტეზე, მიმღები პირისთვის შესაბამისობასა და ადექვატურობაზე. კერძოდ, „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერი გამომწერის, კლიენტის, პარტნიორის, მომწოდებლის, კონტრაჰენტის ან/და სხვა მიმღები პირის წინაშე შემდეგზე:

- ნებისმიერი ბაზრის კოტირების სიზუსტე;
- ბაზრის კოტირების ნებისმიერი დაყოვნება, უზუსტობა, შეცდომა, შეფერხება ან გამოტოვება; და
- ნებისმიერი ბაზრის კოტირების შეწყვეტა.

„გალტ ენდ თაგარტის“ „პუბლიკაციების“ განახლება მათი გამოქვეყნების შემდეგ არ ხდება და ისინი, ცვალებადი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა არაზუსტი ან/და შეცდომაში შემყვანი გახდეს დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, რაც, ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მერყეობდეს წამებიდან და წუთებიდან დღეებამდე, კვირებამდე ან/და თვეებამდე. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა გარანტიას და არ იღებს პასუხისმგებლობას მიმღები პირის წინაშე განუახლებელ „პუბლიკაციაზე“.

თუ „პუბლიკაცია“ განუახლებელია, „გალტ ენდ თაგარტს“ არ ექნება ვალდებულება:

- განაახლოს „პუბლიკაცია“;

- აცნობოს „პუბლიკაციის“ მიმღებ პირებს აღნიშნულის თაობაზე; ან
- განახორციელოს რაიმე სხვა ქმედება.

ნებისმიერი „პუბლიკაცია“ შეიძლება გამოხატავდეს ავტორის პირადი შეხედულებას და არ ასახავდეს „გალტ ენდ თაგარტის“ მოსაზრებას. „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, (წინასწარი ან შემდგომი) გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს გააუქმოს ან შეცვალოს ნებისმიერი „პუბლიკაცია“ ან „ინფორმაცია“.

რეკომენდაციების უარყოფა

„გალტ ენდ თაგარტი“ არც ერთ თავის „პუბლიკაციაში“ არ ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული ადრესატის საინვესტიციო ამოცანებს, განსაკუთრებულ საინვესტიციო მიზნებს, ფინანსურ მდგომარეობას, ან/და სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის აღნიშნული, „გალტ ენდ თაგარტის“ ყველა „პუბლიკაცია“ განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგის მიზნებისთვის და არ უნდა იქნას გაგებული როგორც:

- ბიზნეს, ფინანსური, საინვესტიციო, ჰეჯირების, სამართლებრივი, რეგულატორული, საგადასახადო ან საბუღალტრო კონსულტაცია;
- რეკომენდაცია ან სავაჭრო იდეა; ან
- კონკრეტული ფორმით ქმედების, ინვესტიციის ან დეინვესტიციის განსახორციელების ნებისმიერი სხვა სახის წახალისება (ერთობლივად - „**რეკომენდაციები**“).

„გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი აღქმული „რეკომენდაციის“ საფუძველზე განხორციელებული ინვესტიციის შედეგად დამდგარ ნებისმიერ ზარალზე. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო ჩანაწერისა (თუნდაც კონკრეტულად იქნეს აღნიშნული), არცერთი „პუბლიკაცია“ (მათ შორის, შესაძლო „რეკომენდაცია“) არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც (გამოხატული ან ნაგულისხმევი) განცხადება ან/და გარანტია, იმასთან დაკავშირებით, რომ მიმღები პირი სარგებელს მიიღებს „პუბლიკაციაში“ წარმოდგენილი სავაჭრო სტრატეგიის შესაბამისად ვაჭრობის შედეგად, ან რომ მიმღები პირი არ განიცდის ზარალს „პუბლიკაციაში“ წარმოდგენილი სავაჭრო სტრატეგიის შესაბამისად ვაჭრობის შედეგად. „გალტ ენდ თაგარტი“ პასუხისმგებელი იქნება (ქვემოთ მოცემული „პასუხისმგებლობის შეზღუდვის“ სექციის შესაბამისად) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლო „რეკომენდაცია“ არ არის კარგი პროფესიონალური სტანდარტის შესაბამისი.

რისკების შესახებ გაფრთხილება

„გალტ ენდ თაგარტის“ პროდუქტებითა და სერვისებით ვაჭრობამ, თუნდაც „რეკომენდაციის“ საფუძველზე, შეიძლება გამოიწვიოს როგორც ზარალი, ისე მოგება. კერძოდ, ლევერიჯებული პროდუქტებით ვაჭრობა, როგორიც არის, თუმცა არა მხოლოდ, უცხოური ვალუტით ოპერაციები, დერივატივები და ფართო მოხმარების საქონელი, შეიძლება იყოს ძალიან სპეკულაციური, და ზარალი და მოგება შესაძლოა ძალიან მძაფრად და სწრაფად მერყეობდეს. იმისათვის, რომ დეტალურად იხილოთ „გალტ ენდ თაგარტის“ რისკების შესახებ გაფრთხილება, გთხოვთ ეწვიოთ: Agreements.galtandtaggart.com

სპეკულაციური ვაჭრობა არ არის შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის

კონკრეტულ პროდუქტსა თუ სერვისთან დაკავშირებით „პუბლიკაციაში“ ნახსენები რისკები, არსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ასეთ პროდუქტსა თუ სერვისთან დაკავშირებული ყველა რისკის სრული გამჟღავნება ან სრული აღწერა და „გალტ ენდ თაგარტი“ დაჟინებით ურჩევს ნებისმიერ მიმღებს, რომელიც აპირებს მისი პროდუქტებითა და სერვისებით ვაჭრობას, დაიქირავოს შესაფერისი ფინანსური მრჩევლები და ყოველთვის გაიაროს მათთან კონსულტაცია ნებისმიერი ინვესტიციის ან ტრანზაქციის განხორციელებამდე.

ადგილობრივი საკანონმდებლო შეზღუდვები

„გალტ ენდ თაგარტის“ „პუბლიკაციებზე“ წვდომა მთელ მსოფლიოშია შესაძლებელი. თუმცა, „პუბლიკაციებში“ მოცემული „ინფორმაცია“ გამიზნულია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში მცხოვრები ადრესატების მიერ გამოსაყენებლად, სადაც ამგვარი გამოყენება არ წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობისა თუ რეგულაციების დარღვევას. „გალტ ენდ თაგარტის“ „პუბლიკაციებში“ მოხსენიებული არც ერთი პროდუქტი და სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ისეთ ქვეყნებში მცხოვრები ადრესატებისთვის, სადაც ამგვარი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება მოქმედი კანონმდებლობისა თუ რეგულაციების დარღვევა იქნებოდა.

ყველანაირი კანონისა თუ რეგულაციის მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ადრესატი, რომელიც გამოიყენებს ან მოითხოვს „გალტ ენდ თაგარტის“ პროდუქტს ან სერვისს.

ვებ-გვერდის გამოყენება

„გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდების ნებისმიერ გამოყენებაზე ვრცელდება „გალტ ენდ თაგარტის“ „პირობები“, მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, რაც განთავსებულია სავაჭრო პლატფორმისთვის შემდეგ მისამართზე: https://api-agreements.galtandtaggart.com, ხოლო საბროკერო მომსახურებისთვის: https://api-agreements.galtandtaggart.com, და განხილული უნდა იქნეს წინამდებარე მნიშვნელოვანი შეტყობინების დოკუმენტის განუყოფელ ნაწილად.

„გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე ან დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეული იქნება ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ „გალტ ენდ თაგარტის“ რომელიმე ვებ-გვერდზე წვდომის ან მიუწვდომლობის შედეგად. ეს შეზღუდვა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კომპიუტერული აღჭურვილობის ან კომპიუტერული სისტემების ნებისმიერ დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია ვირუსით, მავნე პროგრამით ან/და ნებისმიერი სხვა საზიანო კომპიუტერული პროგრამის კოდირებით.

„გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდიდან ინფორმაციის მიღება არ წარმოადგენს მომხმარებელთან ურთიერთობას და „გალტ ენდ თაგარტს“ არა აქვს რაიმე მოვალეობა და არ ეკისრება რაიმე ვალდებულება ან პასუხისმგებლობა რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ იმის გამო, რომ ასეთმა პირმა ან ორგანიზაციამ ინფორმაცია მიიღო „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდიდან. ამ ვებ-გვერდზე ასახული ნებისმიერი საბაზრო მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ თქვენი საქმიანობის შიდა მიზნებისათვის და მხოლოდ ამ კონკრეტულ სერვისთან დაკავშირებით. ნებისმიერი საბაზრო მონაცემის გადაცემა სხვა პირებისთვის აკრძალულია.

შეუსაბამობები თარგმანში

„გალტ ენდ თაგარტის“ „პუბლიკაციები“ მრავალ ენაზეა ხელმისაწვდომი ადრესატთა კომფორტისათვის. ორიგინალ ინგლისურ ტექსტსა და ნებისმიერ თარგმნილ ტექსტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ორიგინალ ინგლისურ ტექსტს მიენიჭება. ყველა ადრესატისთვის რეკომენდირებულია, რომ ყურადღებით შეისწავლოს ორიგინალი ინგლისური ტექსტი, სანამ მისი თარგმანის საფუძველზე იმოქმედებდეს. „გალტ ენდ თაგარტი“ არ კისრულობს ვალდებულებას ან/და პასუხისმგებლობას რომელიმე ადრესატის წინაშე ორიგინალი ინგლისური ტექსტის სხვა ენაზე არასრულ ან არაზუსტ თარგმანზე.

კლიენტებთან ურთიერთობა

„გალტ ენდ თაგარტის“ რომელიმე კომპანიაში ანგარიშის თაობაზე განაცხადის შეტანის შემთხვევაში, თითოეული განმცხადებლის მიმართ იმოქმედებს შესაბამისი ბიზნეს პირობები. მიიჩნევა, რომ ყველა განმცხადებელსა და კლიენტს წაკითხული და გათვითცნობიერებული აქვს ის ბიზნეს პირობები და შესაბამისი პოლიტიკები, რომლებიც ეხება მათ და „გალტ ენდ თაგარტის“ შესაბამის კომპანიასთან მათ ურთიერთობას. „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდზე დაყრდნობა ან „პუბლიკაციის“ მიღება არ წარმოადგენს მომხმარებელთან ურთიერთობას და აღნიშნულის შედეგად „გალტ ენდ თაგარტს“ არ ექნება რაიმე მოვალეობა და არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რომელიმე პირისა თუ ორგანიზაციის მიმართ.

მესამე პირების მხრიდან მომსახურება

იმ პირებმა ან ორგანიზაციებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან „გალტ ენდ თაგარტს“, შეიძლება რეკლამა განათავსონ „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდებზე ბმულების, ბანერების მეშვეობით ან სხვაგვარად. „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ან ვალდებულება ნებისმიერი ამგვარი მესამე პირის შეთავაზებაზე, მის მიერ განთავსებულ ინფორმაციაზე ან მის ქმედებებზე. თუ „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდის მომხმარებელი გადაწყვეტს, ამგვარი რეკლამის საფუძველზე იმოქმედოს, ის ამას სრულად საკუთარი რისკით აკეთებს.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

თუ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი მიზეზით „გალტ ენდ თაგარტს“ დაეკისრა პასუხისმგებლობა ნებისმიერი პირის ან/და ორგანიზაციის ზარალზე, მათ შორის, შეუზღუდავად, იმის გამო, რომ წინამდებარე მნიშვნელოვანი შეტყობინების დოკუმენტის რომელიმე დებულება არის ან ნებისმიერ დროს, რაიმე თვალსაზრისით, ან რაიმე ვითარებაში აღმოჩნდება გაუქმებული, უკანონო, ან რაიმე მიზეზით განუხორციელებელი, „გალტ ენდ თაგარტის“ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ასეთი პირის ან/და ორგანიზაციის სათანადოდ დოკუმენტირებული პირდაპირი ზარალით, რომელიც, ეჭვის გამოსარიცხად, და შეუზღუდავად, არ მოიცავს რაიმე შემთხვევით და ირიბ დანაკარგს, დაკარგული შესაძლებლობის შედეგად დამდგარ ზარალს, დაკარგული მოგების შედეგად დამდგარ ზარალს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზარალს, ნომინალურ ზარალს, ჯარიმის ზარალს, რესტიტუციულ ან უკანონოდ მითვისებული შემოსავლის ამოღების ზარალს, ხარჯებით, მათ შორის იურიდიული მომსახურების ხარჯებით, წარმოშობილ ზარალს, და სხვა ნებისმიერი ირიბი დანაკარგის შედეგად დამდგარ ზარალს.

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად „გალტ ენდ თაგარტს“ შემოღებული აქვს შესაბამისი ბიზნეს-პროცედურები, მათ შორის კვლევასა და ანალიზთან დაკავშირებული პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კვლევის ანგარიშების ობიექტურობა. არასდროს არ ხდება „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევის ანგარიშების გამჟღავნება ან განხილვა შესაბამისი ანალიზის რომელიმე სუბიექტთან, მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ემიტენტთან ან სხვებთან.

„გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება ფლობდეს, აიღოს, გადასცეს ან გაასხვისოს პოზიციები ფასიან ქაღალდებში, უცხოურ ვალუტასა თუ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტში, რომლებიც დაფარულია კვლევის ანგარიშებში. „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, იმოქმედოს როგორც მარკეტმეიკერმა ყველა პროდუქტსა და სერვისში, რომლებიც არ ივაჭრება ბირჟაზე (მაგალითად, OTC პროდუქტები, როგორებიცაა უცხოური ვალუტა და კონტრაქტები ფასთა შორის სხვაობაზე (CFD) და, შესაბამისად, იყოს კონტრაჰენტი ნებისმიერ ვაჭრობაში, რომელსაც მომხმარებლები ამ პროდუქტებით ახორციელებენ.

„გალტ ენდ თაგარტი“ არ მონაწილეობს კორპორატიულ ფინანსურ აქტივობებში. შესაბამისად, „გალტ ენდ თაგარტის“ არც ერთი დირექტორი, თანამდებობის პირი, თანამშრომელი ან წარმომადგენელი, კერძოდ, ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ანალიტიკურ ანგარიშებზე, არ იღებს ანაზღაურებას რომელიმე ანალიზის გამოშვებასთან დაკავშირებით.

კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების გამოყენება

„გალტ ენდ თაგარტის“ დემო ან მოქმედ ანგარიშზე დარეგისტრირებისას, ეს დანაყოფი ადმინისტრაციული, კომერციული ან/და იურიდიული მიზნებისათვის მოითხოვს და შეინახავს ინფორმაციას მომხმარებლის შესახებ. „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: Agreements.galtandtaggart.com

დავები

წინამდებარე მნიშვნელოვანი შეტყობინების დოკუმენტი და მის საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დოკუმენტის კანონიერებასთან, მოქმედებასთან, მავალდებულებელ ძალასთან (მათ შორის დამტკიცებასთან) და აღსრულებადობასთან დაკავშირებული დავები, უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მხოლოდ და მხოლოდ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და მათ საფუძველზე. თუმცა, „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, წამოიწყოს სამართლებრივი პროცესი, სადაც ამას საჭიროდ მიიჩნევს, კერძოდ, თუმცა არა მხოლოდ, იმ ადგილას, სადაც მოპასუხე ქონებას ფლობს.